

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნუგზარ ჩიკვაძე (მღვდელი ილია ჩიკვაძე)

ფსიქოლოგიზმის ზოგადი შტრიხები XX საუკუნის ქართულ მწერლობაში

ფილოლოგიის დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

სპეციალობა: ქართული ლიტერატურა

თელავი

2014

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნანა რჩეულიშვილი

რეცენზენტები:

მაია (მარიამ) ნინიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანანა ასათიანი - ფილოლოგიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის _____ საათზე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი _____ აუდიტორია _____

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1

ტელ: + 995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ვებ-გვერდზე:

www.tesau.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნინო კოჭლოშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი „ფსიქოლოგიზმი XX საუკუნის ქართულ მწერლობაში“ მოიცავს შესავალს, შვიდ თავსა და დასკვნით ნაწილს.

შესავალ ნაწილში განხილულია კვლევის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ლიტერატურულ აზროვნებაში აქამდე არსებული მიღწევებზე დაყრდნობით მოცემული პოსტულატების თვისობრივად ახალი გააზრების მცდელობას. სახისმეტყველების პრინციპი ხომ გულისხმობს გარკვეულ პირობითობას, რომელიც შესაძლებლობების ფარგლებში წარმოაჩენს არსებულ რეალობას, მოსავს მხატვრული საბურველით, სახე-ფაქტი პერსონაჟის სიმბოლოებით, გადმოსცემს სათქმელს და შევყავართ მწერლის მიერ შექმნილ სამყაროში, სადაც ცნაურდება პირობითობათა შორის არსებული რეალობა, რომლის ამოხსნაც ლიტერატურათმცოდნეობის პირდაპირი ამოცანაა.

კვლევის მიზანია ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული კვლევითი მეთოდების დახვეწის მცდელობა, ლიტერატურული თხზულების ანალიზური მეცნიერების განვითარებისათვის ახალი ასპექტების წარმოჩენა და სისტემური გააზრება, კვლევითი მეთოდების დინამიურობის შესახებ მსჯელობის ფონზე განვითარებადი ახალი ფორმების ძიება. აგრეთვე, ლიტერატურული ფსიქოლოგიზმის, როგორც ცნების დამკვიდრება მასში მოაზრებული ფორმებით, შინაარსითა და შედეგებით.

შესავალი ნაწილი აგრეთვე მოიცავს საკითხის **აქტუალობას, სიახლესა და მნიშვნელობას**. ვფიქრობთ, საკითხი **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც აგრძელებს მწერლის სათქმელის რაობის, თხზულების ამოკითხვის მექანიზმების კვლევის აქამდე არსებული ტრადიციებს ლიტერატურათმცოდნეობაში. აგრეთვე შემოაქვს ცნება „ლიტერატურული ფსიქოლოგიზმი“, რომელიცაა თხზულების დეტალური ანალიზი გარკვეული მეთოდების საშუალებებით, სისტემური გააზრების ახალი ფორმებით. უნდა აღნიშნოს, რომ ეს მეთოდი დღემდე არ გამოვლენილა ლიტერატურათმცოდნეობაში და შეიძლება ითქვას, ლიტერატურული თხზულების ანალიზურ მეცნიერებაში სიახლედ უნდა ჩაითვალოს.

ფსიქოლოგიზმი მწერლობაში ლიტერატურული თხზულების დეტალური ანალიზი ხდება **ისტორიულ-შედარებითი, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მეთოდებით**; აგრეთვე ვიყენებთ ჰერმენევტიკის მეთოდს და ბიჰევიორიზმს. ამას დაერთვის თხზულების მხატვრული გააზრების, ასე ვთქვათ, მწერლის მხატვრული სამყაროს კვლევის სისავსეც და ვიღებთ თხზულების დეტალურ ანალიზს.

კვლევის **თეორიული და პრაქტიკული ღირებულება** იკვეთება ნაშრომის შედეგებსა და მეთოდოლოგიურ ფორმებში. ეს ყოველივე, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მკითხველ-საზოგადოებას ლიტერატურული თხზულების სწორად კითხვასა და მწერლის მიზანდასახულობის, მისი იდეალების მართებულად გააზრებაში.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერული ნაბეჭდი 131 გვერდისაგან. შეიცავს შესავალს, შვიდ თავს და დასკვნას. ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

ნაშრომის აპრობაცია: 6 სამეცნიერო სტატია. დისერტაციის შემადგენელი ნაწილები. იგი შეიცავს გარკვეულ სიახლეებს. გამოქვეყნებულია რეფერირებად გამომცემლობებში.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ფილოლოგიური, კერძოდ ლიტერატურული კვლევა, დეტალური ანალიზი, მოითხოვს რამდენიმე წანამძღვრის გათვალისწინებას. ესენია: ისტორიული წანამძღვარი, ფილოსოფიური წანამძღვარი და ფსიქოლოგიური წანამძღვარი.

ისტორიული წანამძღვარი მოიცავს ისტორიულად არსებული ეპოქის გააზრებას, რომელშიც ცხოვრობს მწერალი, ანუ იქმნება ნაწარმოები. თუ თხზულება ისტორიული ხასიათისაა, დაერთვის იმ ეპოქის ანალიზიც, რომელი ეპოქის გმირებზეცაა შექმნილი რომანი, მოთხრობა, ლექსი ან პოემა. ისტორიული წანამძღვარი აგრეთვე მოიცავს ამ ბოლო შემთხვევაში გმირების ეპოქალური სულისკვეთების შესაბამისად არსებულ გააზრებას. **ისტორიულ-შედარებითი მეთოდის** გამოყენებით აგრეთვე დგინდება, რამდენადაა ისტორიული ამბავი და თხზულებაში მოცემული ამბავი იდენტური, ხომ არ არის მათ შორის სხვაობა, და თუ არის, რამ განაპირობა, რა ხასიათისაა ეს სხვაობები. ზემოთმოცემულ წანამძღვარს ლოგიკურად ეფუძნება და მოსდევს ფილოსოფიური წანამძღვარი. იგი მსჯელობს, თუ რა მსოფლმხედველობისაა ის საზოგადოება, რომელ საზოგადოების წიაღშიც შეიქმნა თხზულება. აგრეთვე იკვლევს, რა თვალთახედვისაა მწერალი, რადგან ეს უკანასკნელი მჭიდროდაა დაკავშირებული ნაწარმოების გმირთა მსოფლმხედველობრივ ბაზასთან. აქედან გამომდინარე ყალიბდება მესამე - ფსიქოლოგიური წანამძღვარი, თუ რა ფსიქიკის მქონე ხალხი ცხოვრობს ნაწარმოების შექმნის პროცესში, რა ფსიქიკისაა თვითონ მწერალი - თხზულების შემოქმედი და რა ფსიქოლოგიური თავისებურებები ახასიათებს თხზულების გმირებს.

ლირიკული ნაწარმოების შემთხვევაში კვლევა მიმდინარეობს სტრიქონსა და სტრიქონს შორის არსებულ სათქმელის გააზრების ფონზე. ფსიქოლოგიური ნიუანსების დაგდენა ლირიკულ გმირსა და მწერალს შორის ასრებული მანძილის დადგენაა, რომლის პოვნაც ვარაუდობს ამ მანძილის მიხედვით ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი მიმართულების ამოცნობას. იგი მწერლის შინაგანი მდგომარეობის შეძლებისდაგვარად ამოკითხვის, გასიგრძეგანების ფონზე მიმდინარეობს, ვაცნობიერებთ, თუ ვინ არის პიროვნულად მწერალი და მისი ლირიკული გმირი. კვლევა აგრეთვე მოიცავს თხზულების მხატვრული საბურველის ანალიზურ გააზრებას, რომელიც ერთგვარად ფოკუსურად გარდაქმნის ზემოთხსენებულ წანამძღვრებში დანახულ ღირებულებებს და სრულიქმნება, როგორც ლიტერატურული თხზულება, ყველა იმ ღირსებით, რომელიც ამ პოსტულატების უკიდევანო მასშტაბებშია განფენილი.

საკვლევ მასალად გამოყენებულია დემნა შენგელაიას „განძი“, მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“, „ჯაყოს ხიზნები“; ხოლო პარალელიზმის პრინციპებზე მსჯელობისას ქართული მწერლობის მასშტაბურობის უკეთ გამოკვეთისათვის მოვიხმობთ ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ და გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომა“-ს.

კვლევის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰერმენევტიკის პრინციპების გამოყენება. ჰერმენევტიკა არის ხელოვნება ტექსტის ინტერპრეტაციის შესახებ, რომელსაც ჩვენს მეთოდოლოგიაში წამყვანი როლი აკისრია.

ლიტერატურული ფსიქოლოგიზმი გარკვეულწილად ახალი ტერმინია, რომლის შესახებაც მსჯელობაც რამდენადმე გულისხმობს ერთგვარ პრეტენზიას,

ლიტერატურული აზროვნების კვლევაში გარკვეული კორექტივების შეტანას, თუმცა ეს როდი ნიშნავს არსებული უზარმაზარი გამოცდილების, როგორც ბაზისის უარყოფას. პირიქით, იგი ითვალისწინებს ჩამოაყალიბოს კვლევის მეთოდოლოგიის ახალი ფორმა, ახალი მიდგომა.

არსებული ნაშრომი მოიცავს თხზულებათა ნიუანსობრივი კვლევის გარკვეული ფორმულირების მცდელობას. ნაშრომში მოცემულია ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით საჭირო მეთოდოლოგიური სიახლის ძიების გზები. საუბარია პარალელიზმის პრინციპებზე, როგორც სათქმელის გამოკვეთისა და ლიტერატურული თხზულების კვლევის გარკვეულ მეთოდზე.

I. კულტურის განვითარების ევოლუციური პროცესის გააზრებისათვის

თავი მოიცავს მსჯელობას კაცობრიობის არსებობის მანძილზე კულტურული და ისტორიული პროცესების განვითარების შესახებ, რომელიც ვრცლად არის მოცემული ნაშრომში და დასკვნების სახით წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ცნიბიერების გადარჩენაში ლიტერატურის და კულტურული აზროვნების მნიშვნელობას.

II. დემნა შენგელაიას მოთხრობა “განძი“ ლიტერატურული ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით

დემნა შენგელაია, მწერალთა იმ თაობის გამორჩეული სახელია, რომელმაც თავს იდვა ეპოქალური გარდატეხებისა და ქარიშხლოვანი – ბოზოქარი მოვლენების მხატვრულ პრიზმაში წარმოჩენა, სიმბოლური ასახვა და ფსიქოლოგიური შიფრით დაშიფრვა იდუმალი აზრებისა, რომლის გამოხმაურებაც იმ დროისათვის მწერლის ფიზიკური განადგურების ტოლფასი იქნებოდა.

ამდენად, მე-20 საუკუნის ქართველი მწერლები სიმბოლურ-იდუმალი ანალოგიებით და ფსიქოლოგიური პორტრეტებით, სილოგისტური პრინციპის საფუძველზე ნიღბავდნენ პერსონაჟებს, პოეტურ ქმნილებებს მათი წაკითხვის დროდ, ალბათ, ჩვენს თანამედროვე საუკუნეს ვარაუდობდნენ, როდესაც აღარ იქნებოდა ავადსახსენებელი წითელი ტერორი და ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურა.

დემნა შენგელაიას მოთხრობა “განძი“ მწერლის იმ თხზულებათაგანია, რომელშიც გასიგრძეგანებულია, შეპირისპირებულია ადამიანის შინაგანი მე და სოციალური ბუნება. გახსნილია სულიერი შრეები, გარემო პირობების დამთრგუნველი ზემოქმედება ადამიანზე, როგორც ღვთის პირმშოზე, ამდენად, თავისუფალი სულის მქონე არსებაზე.

ფსიქოანალიზის თვალსაზრისით, მწერლის მიერ დახატულია ტირანულ სახელმწიფოში მცხოვრები გლეხის სახე, რომელსაც ოქროს პოვნის ამბავი ცოლთანაც ვერ გაუმიჯღავნებია და შინაგანი ბრძოლით იმდენად უძლურდება, რომ ბოლოს ცოლს სასიკვდილოდ სცემს, არადა ფუნდუ მისი ერთგული თანამეცხედრეა. ნაწარმოებში მკვეთრად დასმული არსებობისთვის ბრძოლის მრავალმნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ ეს ბრძოლა, რომელიც თითქოს ოჯახის ბედნიერებისა და უკეთესი მომავლისათვის ხდება, იხლართება შიშსა და სიხარბეში და ამ ორ ბომონს შორის იკარგება ოჯახისა და მომავლის განცდა.

ამდენად, მოთხრობაში მხილებულია ტირანული სახელმწიფო წყობილება, რომელიც დამთრგუნველ კლანჭებში აქცევს ადამიანს – პიროვნებას და ზნეობრივი თვალსაზრისით ვაკუუმს ქმნის. აგრეთვე, ასკვნის, რომ ასეთი საზოგადოება უმომავლო საზოგადოებაა.

III. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“

უმძაფრესი განცდა ეპოქალური რღვევისა სულიერი და ფიზიკურ-გენეტიკური გადაგვარებისა, როგორც დეგენერირებული თაობის სახე-სურსათი, ესაა მე-20 საუკუნის დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის უპირველესად პიროვნული და ამდენად მწერლური კრედი.

„ჯაყოს ხიზნები“- ერთი იმ გენიალური თხზულებასთაგანია ეპოქის მსოფლიო ლიტერატურაში, რომელშიც ნიუანსებრივი სიზუსტითაა გადმოცემული ადამიანის დაცემული ბუნება, სოციუმის ხრწნის ფორმები, მისი მეთოდები...

„ჯაყო რომანის მთავარი პერსონაჟია; მის გვერდით მხარდამხარ მოდიან თეიმურაზ ხევისთავი და მისი ცოლო მარგო. ტრაგიკული სოციალური ატმოსფეროს პირშია ადამიანები.

ჯავახიშვილის გენიალურ მწერლურმა ალლომ საგულდაგულოდ შეაღწია ადამიანის საზოგადოებრივი ცნობიერების დაფარულ შრეებში და „ჯაყოს ხიზნები“, როგორც თხზულება-სათქმელი ეპოქალურ ტკივილად აქცია.

ჯაყოიზმი ესაა ყველა საუკუნის, საზოგადოებრივი ფორმაციის და ფენის მახასიათებელი ნიშანი, ხოლო „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები კი გულუხვი გალერეა, სადაც ერთმანეთს ცვლიან ერთიმეორეზე უარესი თუ გნებავთ უკეთესი ჯაყო-მარგოები და თეიმურაზები. „ეგრე ვიცის ჯაყომა“ - იტყვის მარგოს გაბახებით და თეიმურაზის ნაკაცრობით აღტკინებული ჯაყო-ნაკაცარი.

ეს ეპოქალური პერიფრაზია ყველა დროს ზნედაცემული და ქვეგამხედვარი ადამიანებისა, ადამიანებისა რომელთა სურათიც დიდმა ჯავახიშვილმა ამ შემთხვევაში „ჯაყოს“ სამოსით შემოსა და საზოგადოებას ჯაყოიზმის, ნაკაცრობის საშინელი სენის დამღუპველობა ამცნო.

IV. მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“

„თეთრი საყელო“ დიდი მწერლის იმ თხზულებათაგანია, რომელმაც სწორედ ზემოთხსენებული აზროვნების შედეგად შეიძინა დიდმასშტაბურობა. იგი რთულ პერიოდშია შექმნილი. 1926 წელი საქართველოში გასაბჭოების პირველი წლებია; რევოლუციური ქაოსი ხრავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობის არსებობის ბალავარს, ამდენად ეს ეპოქა სათქმელის საგულდაგულოდ შენიღბვას, ფსიქოლოგიური შიფრით და სახე-სიმბოლოებით აღჭურვას საჭიროებს. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დემნა შენგელაიას „განძის“ მსგავსად ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ სათაურიდანვე დამიფრული თხზულებაა.

რომანი ორ მთავარსიუჟეტთან, პარალელური განვითარების პრინციპითაა დაწერილი, აქ ორი ამბავი ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. (ერთი ბარში – ქალაქში, მეორე მთაში. ორივე ამბის ცენტრალური ფიგურა ერთი და იგივე პიროვნებაა, ქალაქად – ელიზბარი, მთად – ვაჟიკა. აკი ამბობს კიდევ ჯავახიშვილი „ცხადი

გადავიდა, ლეგენდა დაიწყო“ ცხად-ლეგენდების ზღვარზე დგას რომანის გმირების ქცევა-მოქმედება.

რომანში არსებობს ორსიუქეტიანი მაგისტრალი; ერთი პიროვნების გარშემო მიმდინარე ორი ცხოვრება, რომელსაც საერთო მთავარი გმირი ელიზბარი-ვაჟიკა ჰყავს. ორივე სამყარო მწერალს ღრმა ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური განცდების შედეგია.

მიხეილ ჯავახიშვილი შეპირისპირებითი მეთოდებით, მწერლური ოსტატობით გადმოგვცემს ორ ქვეყანას, მთასა და ბარს, ქალაქსა და სოფელს და მკითხველის წინაშე ტრადიციულობისა და მორალურ-სულიერი თვალსაზრისით ყოფნა-არყოფნის დილემურ საკითხს წამოჭრის.

V. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ და „თეთრი საყელოს“ ურთიერთმიმართებისათვის

„ჯაყოს ხიზნებისა“ და „თეთრი საყელოს“ ერთ სიბრტყეზე განხილვისას აშკარად დგება მათი ურთიერთმიმართების საკითხის გააზრების აუცილებლობა. ორივე თხზულება-რომანი თითქოს ერთი ნაწარმოებია, ორ-ნაწილიანი თხზულებაა.

მათი შექმნის თარიღებიც თითქმის ერთია, განწყობაც ერთი, სიუჟეტის ფორმაც და სათქმელის რაობაც.

„ჯაყოს ხიზნებში“ დასმული მწვავე საზოგადოებრივი, ზნეობრივ-მორალური, ეროვნულ-საკაცობრიო პრობლემა, ჯაყოს, როგორც საზოგადოების მახინჯი წარმონაქმნის პრობლემა, საზოგადოების, დევალვაციის, ეროვნულ და პიროვნული გადაგვარების შესახებ სულის შემძვრელი განგაში მწერლისთვის სიცოცხლის საზრისად იქცა, აკი შეეწირა კიდევ ამ სათქმელს, ამ სიმართლეს.

ორივე თხზულება „ჯაყოს ხიზნებიცა“ და „თეთრი საყელოც“ ერთი გაბმული კენესა-სიმღერაა.

„ჯაყოს ხიზნებში“ ვეძებთ საშველს ამ გადაგვარებიდან თავის დასახსნელად.

„ჯაყოს ხიზნებში“ არსებული პრობლემატიკის განცდა, შემდგომ „თეთრ საყელოში“ ცნაურდება. სამყაროს გარდაქმნის კათარზისული მოდელი, სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური თვითობის ურთიერთკავშირი და მათი ბალანსი ერთიანად აისახება ორივე რომანის, უფრო ზუსტად, ჩვენის მოსაზრებით, ერთი რომანის ამ ორ ნაწილში: I - ჯაყოს ხიზნები; II - თეთრი საყელო

სად გადის ზღვარი მათ შორის, ვინ არიან მათი გმირები, რა აქვთ საერთო ან განმასხვავებელი?

ორივე თხზულება, ერთიანი სივრცეა დეგრადირებული სამყაროსი და მისი გადარჩენის გზების ძიებისა, ამ გზის აღმოჩენისა და ზნეობრივი კუნძულის ქმნადობისა.

მიხეილ ჯავახიშვილმა გლობალური საკაცობრიო მასშტაბის დილემიური საკითხი - გლობალიზაციის საფრთხისგან თავის დაღწევის, მისგან თავდაცვის უებრო საშუალება ამ ორი თხზულებით გაგვიმჟღავნა. თითქოს წინასწარმეტყველურად დასვა საკითხი ჯერ კიდევ გასული მე-20 საუკუნის 20-იან წლებში და ეროვნული, პიროვნული, ზნეობრივი, სახელმწიფოებრივი გადარჩენის გზა „თეთრი საყელოს“ გმირებით დაგვისახა.

ზნეობრივად დაქვეითებულმა გარემო პირობებმა, ეროვნული და პიროვნული ფასეულობების გაფერმკრთალების და გადაგვარების საშიშროებამ აღძრა დიდი მწერალი ესოდენ მძაფრად, მრავალფეროვანი შემოქმედებითი პალიტრის მეშვეობით დაესვა პიროვნული ღირსების, როგორც ეროვნული, სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი არსებობის უმთავრესი საკითხი და მისი გადარჩენის საზოგადო მოდელი კულტურული კაცობრიობისთვის ეჩვენებინა.

VI. ზოგადი ლიტერატურული პარალელები ლიტერატურული ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით დემნა შენგელაიას „განძის“ და ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ მიხედვით

ლიტერატურულ ნაწარმოებებზე მსჯელობისას მასში წვდომისა და განხილვის ერთ-ერთი საგანგებო საშუალება პარალელების მოხმობა და მისი შეჯერებაა.

მით უმეტეს, ჩვენს შემთხვევაში, ქართული მწერლობის შედეგთა უკეთ გაშიფვრის და მსოფლიო კლასიკოსებთან შეპირისპირების მიზნით, ეს მეთოდი სრულად უპრიანია.

დემნა შენგელაიას „განძის“ პარალელურ ლიტერატურულ თხზულებად მსოფლიო მწერლობაში დიდი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ გვესახება. იგი დაწერილია ამავე ეპოქაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, 1952 წელს, მსოფლიო სოციალური კატაკლიზმების ტოტალურ ეპოქაში.

„მოხუცისა და ზღვის“ პერსონაჟთა სიცოცხლის საზრისიც არსებობისათვის ბრძოლაა, ოღონდ ეს ბრძოლა უფრო ღირსეული, უფრო კაცად-კაცური და მამაცურია, იქ არ არის უსაგნო შიში, არც შენგელაიას „განძში“ არსებული სოციალური გარემოს მსგავსი მახინჯი ატმოსფერო, სადაც დათრგუნულია ინდივიდი.

„განძის“ და „მოხუცი და ზღვის“ შეპირისპირებისას იკვეთება ზოგადი ლიტერატურული პორტრეტები.

მიუხედავად ფორმაციისა და სახელმწიფო წყობილებისა, ორივე მწერალი მასშტაბურად გვთავაზობს ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლის მრავალწახნაგა სურათს, ამ შემთხვევაში მართალია „განძი“ საბჭოთა სოციალისტურ, ხოლო „მოხუცი და ზღვა“ ბურჟუაზიულ ანუ ერთმანეთთან ტოტალურად დაპირისპირებულ ბანაკში იქმნება, მაგრამ ავტორთა ფსიქოანალიტიკური აზროვნების თანხვედრა სრულიად საცნაურს ხდის პრობლემის ზოგადეროვნულობას, გნებავთ ზოგადკაცობრიულობას და, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ილიასეული მხნეობის პრინციპებზე დგას.

ბრძოლა აქ არ უნდა გავაიგივოთ სიძულვილთან და ომებთან, აქ საუბარია დინამიკაზე, მომავლის იმედზე, რადგან, როგორც ზემოთ ვიხილეთ, უმომავლობა-უიმედობა დაღუპვის, ხოლო იმედი და სიცოცხლის დინამიური განვრცობის სურვილი გადარჩენის სიმბოლო – საწინდარია, ამიტომაც, სასოება და გვირაბის ბოლოში სინათლის აკიაფების ნეტარხსენებული განცდა ყოველთვისაა კაცობრიობის საუკეთესო ადამიანების მარადიული საფიქრალი.

VII. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომა“ პარალელიზმის პრინციპების თვალსაზრისით

ჩვენი მსჯელობა ეხება „ჯაყოს ხიზნებსა“ და „პატრიარქის შემოდგომას“. „ჯაყოს ხიზნებში“ ჯაყო თუ უხეში ვერაგობა და როყო სიბნელეა, მარკესის გმირი გარე სამყაროსათვის კვაჭი კვაჭანტირიძესავით დაწკვილი გამოიყურება, შინ კი ყველაფერი ჭაობის მსგავსად ყარს. „ხორხები თქვენი საფლავებია და ბაგეები თქვენი ქლესაობენ“ .

ამდენად, ჩვენს თვალწინაა ფასადური გარემოს მხილებისა და მისი ამაზრზენი სურათის ამსახველი სურათი და ჩვენც ვარაუდობთ, რომ მის ფონზე ნათლად იკვეთება „ჯაყოს ხიზნების“ როგორც ღრმა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თხზულების მსოფლიო ლიტერატურული მნიშვნელობა. „პატრიარქის შემოდგომა“ სახე-სიმბოლოა ზნედაცემული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა.

ნაწარმოებებს შორის კავშირით, ანუ პარალელიზმის პრინციპის შესაბამისად იკვეთება:

- 1) ეპოქალური მოვლენების მსგავსება-განსხვავება და მათი სინთეზის აუცილებლობა;
- 2) მწერლების სულიერი გენეტიკა, რაც გულისხმობს მსოფლმხედველობრივ ნათესაობას;
- 3) ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების თანხვედრილობა ზოგადად არსებული კულტურული პროცესების ფონზე;
- 4) თხზულებათა მასშტაბურობა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ამ საკითხების მიხედვით მსჯელობისას სჩანს ორივე რომანის ავტორთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ავტორიტარიზმისა და დიქტატურისადმი.

„ჯაყოს ხიზნებისა“ და „პატრიარქის შემოდგომის“ პარალელურობა მათ მსოფლმხედველობრივ პრინციპებშია საძებნელი, თუმცა ეპოქალურობის საკითხი ამ შემთხვევაში განსხვავებულია. მწერლათა ნიჭიერება და მასშტაბურობა მათი ისტორიული არსებობა განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს.

მარკესის „პატრიარქი შემოდგომა“ გენეტიკურად ანუ ქვეტექსტურად გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“, მისი დეშიფრირების, ლიტერატურული ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით ზემოთმოხმობილი პოსტულატების მეთოდოლოგიური ჩართვით თხზულების „დაშლის“ შემთხვევაში, იკვეთება მწერლის მსოფლმხედველობრივი ბაზა და დგინდება, რომ ჯავახიშვილი და მარკესი ერთი მსოფლმხედველობის მატარებელნი არიან იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც მწვავედ დგას ორივე ნაწარმოების სათქმელ ამოცანად.

მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით „ჯაყოს ხიზნებისა“ და „პატრიარქის შემოდგომის“ პარალელურობაში, რომელიც შემდგომ ყოველმხრივ კვლევას საჭიროებს ისტორიული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და მხატვრული სახეების თვალსაზრისით, რაც ლიტერატურული ფსიქოლოგიზმის ძირითადი თემაა, გამოკვეთილია ზნედაცემული ადმიანების სზოგადოებრივ ასპარეზზე ყოფნის

ამაზრუნობა, მისი თანამდევი, სასტიკი შედეგებით, როგორც გაფრთხილება უზნეო და რულეზულო ადამიანების სქვეყნო ასპარეზობის სახიფათოობის შესახებ.

დასკვნა

ფსიქოლოგიზმი მსოფლიო ლიტერატურაში, საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს.

ქართულ მწერლობას ფსიქოლოგიზმის ბეჭედი იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამებიდანვე“ აზის, მაგრამ ფსიქოლოგიური ასპექტებით შეჯერებული პირველი თხზულება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა“.

მსოფლიო მწერლობის საასპარეზო მოედანზე, ბევრი როდია ფსიქოლოგიზმის ნიშნით აღბეჭდილ მწერალთა სახელები, რომელთათვისაც მწერლობისა თუ კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის კრედო ოდენ ცხოვრებისეული მოვლენების ნიუანსობრივი წვდომა, მათი ქვეტექსტები და მოტივაციის ახსნა-განმარტება იყო მკითხველისა თუ ფართო საზოგადოებრივი წრეებისათვის.

ფრედერიკ სტენდალი, ონორე დე ბალზაკი, პროსპერ მერიმე, გუსტავ ფლოიბერი, ჩარლზ დიკენსი, გი დე მოპასანი, უილიამ თეკერი, შარლოტა ბრონტე, ლუდვიგ ბერნე, ჰაინრიხ ჰაინე, გოეთე ესაა მწერალთა არასრული ნუსხა, რომელთაც გარკვეულწილად განსაკუთრებული როლი შეასრულეს ფსიქოლოგიზმის, როგორც სამწერლობო იარაღის შექმნაში.

მსოფლიო ლიტერატურის შედეგები ყოველთვის ხასიათდებიან ადამიანზე დადებითი ზემოქმედების გარკვეული ნიშნით, რომელსაც, ჩვეულებრივ მკითხველთა წრეებში შთამბეჭდავს უწოდებენ, თუმცა ნაწარმოების შთამბეჭდავობა დამოკიდებულია მისი, როგორც შემოქმედებითი ქმნილების დონეზე, სულიერ კულტურულ ხარისხზე.

კაცობრიობის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან დღემდე ფსიქოლოგიური განვითარების ორ ძირითად ეტაპს მოიცავს. ესენია: ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული ეტაპები.

ესაა საყრდენი ყველა მსჯელობისა, იქნება ეს ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ სხვა მსჯელობები.

სულიერ ასპექტში განსახილველი საკითხები ძველთაგანვე იყო მატერიალიზმის ინტერესების სფერო, მაგალითისათვის ანტიკური ხანის დიდი ფილოსოფოსის არისტოტელეს, „მეტაფიზიკაც“ კმარა, თუმცა სამყაროს მატერიალიზირებულმა გააზრებამ შემდეგში საკმაოდ პრაგმატული აზროვნებითი ნაყოფი გამოიღო და სულიერება, სულის არსებობა, უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც ეჭვქვეშ დააყენა, თუმცა, ადამიანი არის რა სულიერი არსება, ნებსით თუ უნებლიეთ, სულის გარკვეულ მდგომარეობის გამომხატველია. ამიტომაც მწერლის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, გარკვეულწილად, მაინც შეიცავს სულიერების ელემენტებს, ამდენად ფსიქოლოგიური ქვეტექსტებიც გააჩნია.

რეალიზმი, როგორც მიმდინარეობა, ყველაზე მკვეთრად გადმოსცემს ადამიანის სულის მოძრაობას. მის ფსიქიკას, განსხვავებით რომანტიზმისა და სენტიმენტალიზმისა, რომელიც საგნებთან, ადამიანებთან და მოვლენებთან მიმართებაში აღფრთოვანებული ან პესიმისტურია, თანაც მისმიერი შეფასება ამა თუ იმ მოვლენისა სცილდება რეალობას. თუმცა, რეალიზმის წინასახედ რომანტიზმი და სენტიმენტალიზმი უნდა ჩაითვალოს.

ზნეობა, ადამიანის საერთო მახასიათებელი ღირებულებაა.

„იგი განიხილავს ჩვენი მოქმედებისა და ქცევის ღირსებებს. მას ასეთ შემთხვევაში სინდისი ეწოდება და ის წარმოადგენს საკუთარ ქცევათა მოწონებას და ან დაწუნებას და ამ საფუძველზე წარმოშობილი სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობას.

ასეთია ცდაზე დაფუძნებული განხილვა ცნობიერებისა: იგი არის აზრი, გრძნობა საკუთარი ყოფიერების შესახებ. მაშასადამე ეს არის რაიმე ახალი უნარი -ეს იგივე ყურადღებაა, ოგონდ მისი საგანია თვითონ ადამიანი”

ამ გრძნობების სიღრმეში, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა – იკითხება მისი (ადამიანის) ყოფითი ცხოვრება, იმიფრება გენეტიკური კოდი ცნაურდება სულიერი დონე, რომლის ცენტრალური ფიგურა ადამიანია, მოაზროვნე არსება-ხატი ღვთისა.

მწერლობა არის ზნეობის სარკე, ადამიანის საზოგადოების სულის მოძრაობათა ამსახველი ხელოვნება მხატვრული (სიტყვაკაზმული) ისტორიული ფსიქოლოგიური მეთოდებით, მაგრამ სირთულე ამ მეთოდისა იმაში მდგომარეობს, რომ „სულიერ მდგომარეობათა, ანუ გრძნობათა ანალიზი უფრო რთულია, ვიდრე ცოდნის ანალიზი”.

და ეს უდაოდაა დამოკიდებული თუ რა მასშტაბისაა მწერალი-თხზულების შემოქმედი. ფსიქოლოგიზმი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერლის გარკვეული, შინაგან მდგომარეობაა. მწერალი შედის პერსონაჟთა სულის სიღრმეში და მკითხველისათვის სავსებით საცნაური ხდება მათი მოქმედების არეალი და მოტივაცია.

თუმცა მწერალი არაა დაზღვეული ცდომილებებისაგან, მაგრამ უმეტესწილად, ფსიქოლოგიურ ასპექტში გახსნილი პერსონაჟები ზუსტად არიან დახატულნი სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატთა მიერ და ვიღებთ კიდეც ფსიქოლოგიურ რომანს, მოთხრობას, ნოველას და ა.შ. და ვასკვნით, რომ მწერალი შეეცადა გადმოეცა ნაწარმოების გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები, თუმცა როგორც ვთქვით, ფსიქოლოგიზმი მწერლობაში მწერლის შინაგანი მდგომარეობა, მწერლის ხედვაა და მასზე შემოქმედთა უმრავლესობა არც კი ფიქრობს, იგი თავისთავად მოედინება კაზმული სიტყვის კალაპოტსა და ლაბირინთებში.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. მწერლობის ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ, „საქართველოს მოამბე“, (სალიტერატურო ჟურნალი), 2008, #3, გვ.76-77

2. დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი“ ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით, „საქართველოს მოამბე“, სალიტერატურო ჟურნალი, 2008, # 3, გვ.78-81
3. ზოგადი ლიტერატურული პარალელები ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით დემნა შენგელაიას „განძის“ და ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ მიხედვით, იაკობ გოგბაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სამეცნიერო შრომების კრებული), თბილისი, 2008, # 1 (23), გვ. 266-270
4. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, „საქართველოს მოამბე“, (სალიტერატურო ჟურნალი), 2009, # 3 (17), გვ. 60-65
5. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომა“ პარალელიზმის პრინციპების თვალსაზრისით, კულტურათაშორისი დიალოგები II, (პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი), თელავი, 2013, #2, გვ. 487-502
6. „კულტურის განვითარების ევოლუციური პროცესების გააზრებებისათვის“, კულტურათაშორისი დიალოგები II, (პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი), თელავი, 2013, #2, გვ. 503-516

Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscript

Nugzar Chikvaidze (Father Ilia Chikvaidze)
General Elements of Psychologism in the XX Century Georgian Writings

Dissertation Presented for Gaining the Academic Degree in Philology

A b s t r a c t

Specialty: Georgian Literature
Telavi
2014

The research has been carried out at the Department of Georgian Philology, Faculty of Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University

Scientific Supervisor:

Doctor of Philology, Associated Professor Nana Rcheulishvili

Reviewers:

Maia (Mariam) Ninidze - Doctor of Philological Sciences, Professor
Manana Asatiani – Doctor of Philological Sciences

The defence of the dissertation will take place on 2014 year “ ____ ” _____ at _____ o'clock at the meeting of the Dissertation Committee at the faculty of Humanities, I. Gogebashvili Telavi State University, Building _____, room _____

Address: Georgia, Telavi, 2200
Kartuli Universiteti str. #1
Tel: + 995 350 27 24 01

The dissertation is available at the scientific library of I. Gogebashvili Telavi State University and on web-site:

www.tesau.edu.ge

Scientific Secretary of the Dissertation Council,
Doctor of Philology, Assoc. Prof
Nino Kochloshvili

The given thesis “Psychologism in XX Century Georgian Literature“ comprises introduction, seven chapters and a concluding part.

The introductory part deals with the research mechanism, which tries to introduce a qualitatively new conceptualization of the given postulates based on the achievements existing in literature studies so far. Facial expression principle implies certain conditionality, which presents existing reality as far as possible and covers it with artistic mask and face-fact character symbols, expresses thoughts and leads us into the world created by a writer, where the existing reality between conventionalities is unmasked, which is a primary task of literature studies.

The **aim** of the research is an attempt to refine research methods existing in literature studies, put forward new aspects for the development of composition literary analysis and its systemic understanding, search for new forms developing on the basis of discussions about the dynamics of research methods. Also, the aim of the thesis is establishment of a concept “literary psychologism” implying its forms, content and results.

The introductory part also includes **contemporary relevance** of the issue, **innovation** and **significance**. We believe that the issue is **relevant** as it continues research traditions of a composition decoding mechanisms of writer’s main ideas existing in literary studies so far. Also introduces the concept of “Psychologism of Literature”, which is a detailed analysis of a composition with the appropriate methods and a systematic understanding of new forms. It should be noted that this method has not yet been found in the literature studies and can be considered as a novelty in analytical sciences.

Psychologism in literature is a detailed analysis of literary works by means of **historical - comparative, philosophical and psychological methods; Hermeneutical method and behaviorism** are also used here. Artistic understanding of work, so to speak, the writer's artistic world research completeness is also described, and thus we have a detailed analysis of the work.

The **theoretical and practical significance** of the study is shown in the outcomes of the thesis and in methodological forms. All this, in our opinion, will contribute to the readers to understand a literary work correctly and grasp writer’s ideals properly.

Structure of the thesis: The dissertation consists of a computer-printed 131 pages. It has an introduction, seven chapters and a conclusion. It is accompanied by a list of used sources and references.

Approbation of the thesis: 6 scientific articles; Parts of the thesis. It includes certain innovations; Published in peer-reviewed publishing houses.

Dissertation Abstract

The philological, more precisely, the literary detailed analysis requires the consideration of several postulates such as historical, philosophical and psychological.

A Historical postulate comprises the historical awareness of the given epoch where the writer lives. In case the writing is of historical character it is added by the historical analysis of the epoch during which the novel, story or the poem was created. In this case the historical postulate also comprises the chivalry of the main characters.

The historical-comparative method reveals identity between the historical event and the story. This method also observes any kind of differences; identifies the reasons and the types of these differences. The abovementioned postulates are logically based and followed by the philosophical postulate. This method defines the faith of the society which was the main source for creating a story as well as the writer's outlook because the writer himself is closely related to the main character of the story. Consequently the third postulates i.e. the psychological postulate is being created defining the society, the mentality of the writer and the psychological peculiarities of the main characters of the novel.

In the case of a lyrical work, research is conducted on the basis of grasping the meaning that exists between the lines of a poem. Search for psychological nuances, determining the distance between the lyrical hero and the writer allows defining world outlook of a lyrical work in accordance with this distance.

It comes amid a feasible understanding and inculcating of internal state of the writer. We become aware of writer's personality and his/her lyrical character. The research also comprises an analytical understanding of an artistic veil of a literary work which in the same way focally transforms values seen in the above mentioned preconditions and becomes perfect as a literary work, with all its advantages scattered over the vast scopes of the postulates.

As research material Demna Shengelaia's "Treasure", Mikheil Javakhishvili's "White collar" and "Jako's Lodgers" are used ,but when discussing the principles of parallelism to emphasize the breadth of Georgian literature better,we reviewed Ernest Hemingway's "The old Man and The Sea" and Gabriel Garcia Marquez's "Autumn of the Patriarch".

Using the principles of hermeneutics plays an important role in the research process. Hermeneutics is the art of interpreting a text, which has a leading role in our methodology.

I. For Analyzing the Evolution Process of Culture Development

This chapter discusses in details development of cultural and historical processes throughout the history of humankind. The Conclusions deal with the importance of literature and cultural thinking for preserving national consciousness during globalization.

II. Demna Shengelaya's short-story "The Treasure" in the light of literary psychologism

Demna Shengelaya is one of the distinguished members of the generation of writers who committed themselves to depicting the most important and crucial and stormy events in their writings and quite symbolically so, disguising secret ideas with psychological code, since revealing them would equal to the writer's physical liquidation.

Thus, the 20th century writers used to disguise their characters with symbolic and secretive analogies and psychological portraits on the principle of syllogism. These writers probably thought that their writings would find its readers in our modern century when there would be no more vicious red terror and so called Dictatorship of Proletariat.

Like his contemporary co-writers, the creative legacy of Demna Shengelaya speaks of those breathtaking depths which should not be left unheeded by literature researchers. According to Quintus Horatius Flaccus, a writer should put away his or her writing for nine years and then read anew nine years later. The legacy of Demna Shengelaya is already many years old and evidently it is high time we discussed it.

"The Treasure", the short-story by Demna Shengelaya is one of those works which juxtaposes a human being's internal self with his/her social nature. Human spiritual layers are disclosed and inhibiting influences are shown on a human being, on God's creation. The creation which has a free soul.

In terms of the psychoanalysis, the writer offers the reader the portrait of a poor farmer living in a tyrannical state who cannot even confide in his wife when he comes across the treasure and is so incapacitated with internal struggles that he beats his wife to death. And his wife, Fundu had always been a devoted spouse to him. The writer says about her: "Fundu, heartbroken with her husband's misfortunes, had lost peace and was restless even at night. Sleepless, she was in a kind of daze and the daily thoughts kept pursuing her into the night".

The question raised by the author i.e. of struggling for existence is quite acute in the work. Yet, this struggle which should be directed at family happiness and for the better future gets entangled with the abject fear and greed and the feeling for the family and future is lost between these two obsessions.

To sum up, the writer exposes the tyrannical state which absolutely oppresses human beings, their individual personalities and thus in terms of morality creates a total void.

III. "Jako's Disposed" by Mikheil Javakhishvili

Keen sense of epochal collapse, soul and physico-genetic degradation as an image of degenerated generation is the credo of Mikheil Javakhishvili, the prominent writer of the XX century.

In the world literature of that period, “Jako’s Disposed” is considered to be one of the greatest literary works which describes degeneracy of human nature, society deprivation forms, its methods . . .

“Jako is the main character in the novel as well as Teimuraz Khevistavi and his wife Margo. They are the firstborns of the tragic social atmosphere.

Javakhishvili’s genial writer’s flair thoroughly reached hidden layers of the public consciousness and turned the novel “Jako’s Disposed” into a literary work illustrating the epochal sorrow.

“Jakoizm” (as a movement) is the characteristic feature of the society formation and social layer of all the centuries. As for the characters in the novel “Jako’s Disposed” we have a diverse gallery of Jakos, Margos and Teimurazs.

This is the epoch-making paraphrase of immoral and perverted individuals of all times. Those individuals whose identity was disguised by the fictional character of Jako and told the society about the destructiveness of “Jakoizm” and lack of masculine values and virtues.

IV Mikheil Javakhishvili’s “White Collar”

“White Collar ” is one of the compositions of a great writer. It was created in difficult times. In 1926, it was the first year of Soviet rule in Georgia. A revolutionary chaos verges not only for Georgia but for the whole culture of mankind’s existence. So it's time to tell what they were carefully disguise and it needs to psychological makeup - symbols of equipment. It is possible to conclude that “White Collar ” is encrypted works. It is likely as a “Treasure” by Demna Shengelaia.

The novel was written on the basics of two main topics in the principle of parallel development, here are two stories running parallel to each other. (One in the plain—or in the city, and the other – in the mountains). Both the story's central figure is the same person, in the city – Elizbari, and in the mountains - Vazhika. The author himself indicates on the ending of the reality and the raise of the legend. Behaviour of the main characters in the novel is on the verge of legendary and real phenomenon.

There are two main topics in the novel: The two lives of one person around whom the main character Elizbari –Vazhika has. Both writers in the world are the result of deep psychological and philosophical feelings.

Mikheil Javakhishvili conveys the two countries, mountains, towns and villages by the comparative methods.

V. Interrelations of “Jako’s Disposed” and “The White Collar” by Mikheil Javakhishvili

“Jako’s Disposed” and “The White Collar” discuss the issue of the relationship between their understanding of the necessity arises. Both fictions - the novels is as one work analyses. It consists of two parts. There is almost one in their creation dates, the mood and the form of the

essence of it. The acute problem of social, moral, national-humanity was a raised in "Jaqo'sDispossessed" as a problem of monster formation. It has become disturbing soul alarm of life's meaning for the writer. He was sacrificed of his thoughts and that truth.

To resolve the issues rose in work is the symbol of writer's literary range which will occur its credo by focus-diversity. Both of work "Jaqo'sDispossessed" and "The White Collar" are the same moan-song. We are looking for help to save from this degeneration in "Jaqo'sDispossessed".

Model of the universe into cathartic, emotional and social-political linkages and both of their balance will appear in both romans, one of the novels in two parts: I -"Jaqo'sDispossessed"; II - "White Collar".

Where is the boundary between them, who are their characters, what they have in common or distinctive?

Both works is degraded space to save the world and its ways, creation of the moral island and discover this way.

Mikheil Javaxishviliwas revealed a question of dilemma to escape the threat of globalization with both work.

Early in the 20-ies of the twentieth century he asked a national, moral, political and personal question that meant to save the way with the character of the white collar.

The writer tried to outline the principal issue of that time - personal grace, which is the main most crucial item on national level.

VI. Some of the literal parallels in terms of literal psychology based on Demna Shemgelaya's "Treasure" and Ernest Hemingway's "The Old Man and The Sea".

One of the important means of accessing and reviewing literary works while analyzing it, is finding and summarizing the parallels.

Moreover, in our case, in order to understand Georgian masterpieces better and compare them with world classics, this method would be appropriate.

As a parallel literary work of Demna Sengelaya's "Treasure" we consider to be the great American writer's, Ernest Hemingway's "the old man and the sea". It was written in the same era, in the beginning of the second half of the twentieth century, in 1952, in the era of world social disasters.

The life purpose of "the old man and the sea" characters is the struggle for living as well, but here the struggle is more dignified, more manly and courageous. Here is no pointless fear, no ugly atmosphere, intimidating the individuals unlike the social environment of "Treasure".

While contrasting "Treasure" and "The old man and the sea" some literal portraits are revealed.

In spite of formation and a state structure, both writers widely present versatile picture of struggling with the life difficulties. Although they were set in totally contrasting camps -

"Treasure" was created in soviet socialist regime and "the old man and the sea" - in bourgeois one, the coincidence of the authors' psychoanalytical ways of thinking makes the problem of general humanity and nationhood quite striking, and as mentioned above, it's based on Ilia's principles of courage.

The battle here mustn't be identified with hatred and wars; here we talk about the dynamics, the hope for the future, as seen above, having no future and hope is guarantee for death, and hope and desire of spreading the life dynamically - is essential to survive. Therefore, the hope and the sense of light in the end of a tunnel is always an eternal concern of mankind.

VII. Principles of Parallelism in Mikheil Javakhshvili's "Jako's Disposed" and "The Autumn of Patriarch" by Gabriel Garcia Marquez

Our discussion concerning to "Jako's Khiznebi" and "the Autumn of Patriarch". If Jako in "Jako's Disposed" is described as a rude and a perfidious personage, hero of Marquez looks like Kvachi Kvachantiradze. However, everything inside the hero is like a slash. "Larynxes are your graves and your lips are flattering".

Therefore, we are revealing a hypocritical surrounding and its horrific picture there. We suppose that the "Jako's Disposed" world literature meaning is outlined as a deep philosophical and psychological fiction; "The Autumn of Patriarch" is a symbol of relation of meretricious society.

Based on parallelism there has outlined following:

1. Similarities and differences is epoch facts; necessity of their synthesis.
2. Spiritual genetics of Writers, which mean the ideological relationship.
3. Correspondence of national and world literary processes.
4. Popularity of novels and its social meaning.

Based on discussion the issues there have been revealed the negative attitude of both authors towards authoritarianism and dictatorship.

Parallelism of "Jako's Disposed" and "The Autumn of Patriarch" should be found in their ideological principles. However, the issues of epoch are difference. Writers' talent offers the different various ideas or approaches.

Marquez's "The Autumn of Patriarch" is similar to javakhishvili's "Jakos's Disposed". There reveals the ideological base and ascertained that Javakhishvili and Marquez have the same ideology towards the issue which is in active discussion in both of the novels.

By the ideological viewpoint, within the parallelism of "Jako's Khiznebi" and "the Autumn of the Patriarch", has outlined the ugliness of meretricious in society.

Conclusions

Psychologism is originated from the earliest centuries in the World literature. Georgian Literature has had the seal of psychologism since Iakob Tsurtaveli's "Martyrdom of the Holy Queen Shushanik". However, the first novel with psychological aspects is Giorgi Merchule's "Life of Grigol Khandzteli".

Throughout the world literature there can be find a few writers whose works are filled by psychological signs.

Frederic Stendhal, Onore de Balzak, Prosper Merime, Gustav Floiberi, Charlez Dickens, Gi De Mopasan, William Thekeray, Sharlota Bronte, Ludvig Berne, Hainrikh Haine, Goethe- it's the list of those writers who played an important role in the development of Phsychologism, as one of the means of writing.

Masterpieces of World Literature are characterized by a positive influence on readers, which is called impression. However, impression of the work is determined by the level of creative power and a spiritual cultural degree.

History of human thinking, beginning from antique times up to day, includes two main phase: before Christ and after Christ.

It is the base of all discourses - philosophical or psychological.

Issues of spiritual aspects have been the sphere of interest of materialism. For example, the novel "Metaphoric" was written by a great philosopher. But later it caused a pragmatic result which rejected spiritual life. However, human is a person he is the exponent of his soul's statement. Because of this writer's attitude to any issues contains spiritual elements, and consequently includes psychological implications.

Realism transfers the reality into the sphere of creative interests.

Realism as a course sharply expresses the movement of human spirit. Its psychics, deferent from Romantism and Sentimentalism, exceed the reality, though Romantism and Sentimentalism are considered parts of realism.

Moral is the common characteristic value of humans.

"It discusses values of our actions and behaves and is called conscience. It presents state of likes or dislikes of their own actions and it is the base of pleasant and unpleasant feelings. That is exactly the discussion of conscious on the bases of trying: It s not an idea or a feeling about existence. Therefore, it is not a new skill – it is the same as attention, but the subject of attention is a human in spite of social statement in the depth of feelings, Human's everyday life is meant, genetic code is interpreted, spiritual level becomes known and the central figure of this is a human, cogitative creature, who presents the Icon of God.

Literature is the mirror of morality. It is the art of spirit movement of society expressed by artistic, historical and psychological methods. If the method is conditioned by "spiritual statement, it means that analyzing feelings is harder than knowledge analyze".

It is undoubtedly depended on popularity of writer. Psychologism, as we have already mentioned above, is the internal statement of writer. Writer goes into the depth of character's soul and it becomes clear for readers' motivation.

However, the writer is not ensured from mistakes, mostly, the parsonages in psychological aspect are exactly painted by belles-lettres and we get a psychological novel. We consider that, the writer tried to express the psychological portraits of the characters of novels. Though as we have already mentioned that psychologism is the internal statement of writers, his vision and most of the writers don't think that belles-letters are going themselves through the labyrinths of words.

The main ideas of the dissertation are published in the following works:

1. Concerning the Writer's Psychological Aspects, "Sakartvelos Moambe", (Literary Journal), 2008, #3, pg. 76-77
2. Demna Shengelaia's "Treasure" from the Psychologism View Point, "Sakartvelos Moambe", (Literary Journal), 2008, #3, pg. 78-81
3. General Literary Parallels from the Psychologism View Point based on "Treasure" by Demna Shengelaia and "The Old Man and The Sea" by Ernest Hemingway, Iakob Gogebashvili Telavi State University, transaction, Tbilisi, 2008, #1, pg. 266-270
4. "Jako's Disposed" by Mikheil Javakhishvili, "Sakartvelos Moambe", (Literary Journal), 2009, #3 (17), pg. 60-65
5. Mikheil Javakhishvili's "Jako's Disposed" and Gabriel Garcia Marquez "The Autumn of the Patriarch" in the light of Parallelism, Intercultural Dialogues II, (Scientific Journal), Telavi, 2013, #2, pg. 487-502
6. For the Analysis of Evolution Processes of the Cultural Development, Intercultural Dialogues II, (Scientific Journal), Telavi, 2013, #2, pg. 487-502